

## შპს "ფრესკო თრეიდ ჰაუსი"

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

## სარჩევი:

|                                                                                                                                                                         |    |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ..... | 2  |
| სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                                                                                                        | 3  |
| სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება.....                                                                                     | 4  |
| სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....                                                                                                 | 5  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                                                                                                                               | 6  |
| 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....                                                                                                         | 6  |
| 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები .....                                                                                                             | 10 |
| 4. ძირითადი საშუალებები.....                                                                                                                                            | 11 |
| 5. მარაგები.....                                                                                                                                                        | 12 |
| 6. ფული და ფულის ექვივალენტები .....                                                                                                                                    | 12 |
| 7. სასესხო ვალდებულებები.....                                                                                                                                           | 12 |
| 8. ამონაგები.....                                                                                                                                                       | 13 |
| 9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....                                                                                                                               | 13 |
| 10. პირობითი ვალდებულებები.....                                                                                                                                         | 13 |
| 11. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები.....                                                                                                             | 14 |
| 12. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები.....                                                                                                                           | 14 |

## **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

**რიმა ლომაური**

**ეთერ გურგენაშვილი**

გენერალური დირექტორის -----  
მოვალეობის შემსრულებელი

მთავარი ბუღალტერი -----

2019 წლის 30 სექტემბერი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

**სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ლარებში)**

| დასახელება                            | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018  |
|---------------------------------------|----------|----------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                      |                    |
| <b>გრძელვადიანი აქტივები:</b>         |          |                      |                    |
| ძირითადი საშუალებები                  | 4        | 2 529 613            | 2 609 653          |
| არამატერიალური აქტივები               |          | 21 568               | 23 083             |
| მოთხოვნა გრძელვადიან სესხებზე         |          | 133 830              | 129 610            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>2 685 011</b>     | <b>2 762 346</b>   |
| <b>მიმდინარე აქტივები:</b>            |          |                      |                    |
| მარაგები                              | 5        | 949 635              | 957 097            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            |          | 29 454               | 39 967             |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები          |          | 3 703                | 4 885              |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები       |          | 48 094               | 41 205             |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები      |          | 8 987                | 10 926             |
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 6        | 432 580              | 495 041            |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>1 472 453</b>     | <b>1 549 121</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>4 157 464</b>     | <b>4 311 467</b>   |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          |                      |                    |
| <b>კაპიტალი:</b>                      |          |                      |                    |
| საწესდებო კაპიტალი                    |          | 1                    | 1                  |
|                                       |          | (4 828               | (4 189             |
| გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)         |          | 958)                 | 203)               |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>(4 828 957)</b>   | <b>(4 189 202)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები:</b>    |          |                      |                    |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები    | 7        | 7 009 795            | 6 742 965          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>7 009 795</b>     | <b>6 742 965</b>   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები:</b>       |          |                      |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         |          | 1 910 126            | 1 722 486          |
| მიღებული ავანსები                     |          | 6 144                | 3 638              |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები       |          | 60 356               | 31 580             |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>1 976 627</b>     | <b>1 757 704</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |          | <b>8 986 422</b>     | <b>8 500 670</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |          | <b>4 157 464</b>     | <b>4 311 467</b>   |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

რიმა ლომაური

ეთერ გურგენაშვილი

გენერალური დირექტორის -----  
მოვალეობის შემსრულებელი

მთავარი ბუღალტერი -----

2019 წლის 30 სექტემბერი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

6-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების  
ანგარიშგება**

**2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარებში)**

| დასახელება                                   | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2018 |
|----------------------------------------------|----------|-------------------|
| <b>ამონაგები</b>                             | <b>8</b> | <b>6 662 763</b>  |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება        |          | (5 296 243)       |
| <b>მთლიანი მოგება</b>                        |          | <b>1 366 520</b>  |
| ტრანსპორტირებისა და მიწოდების ხარჯები        |          | (11 176)          |
| სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი |          | (25 303)          |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები            | <b>9</b> | (1 438 208)       |
| ფინანსური შემოსავალი                         |          | 15 246            |
| ფინანსური ხარჯი                              |          | (360 938)         |
| მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან         |          | (202 114)         |
| სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა              |          | 16 218            |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>                     |          | <b>(639 755)</b>  |
| მოგების გადასახდი                            |          | -                 |
| <b>პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი</b>         |          | <b>(639 755)</b>  |
| პერიოდის სხვა სრული შემოსავალი               |          | -                 |
| <b>სულ პერიოდის სრული შემოსავალი</b>         |          | <b>(639 755)</b>  |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

**რიმა ლომაური**

**ეთერ გურგენაშვილი**

**გენერალური დირექტორის -----  
მოვალეობის შემსრულებელი**

**მთავარი ბუღალტერი -----**

2019 წლის 30 სექტემბერი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

6-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**  
**2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ლარებში)**

| დასახელება                     | შენიშვნა | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი       |
|--------------------------------|----------|-----------------------|-------------------------|--------------------|
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2017</b> |          | <b>1</b>              | <b>(4 189 203)</b>      | <b>(4 189 202)</b> |
| სულ წლის სრული შემოსავალი      |          |                       | (639 755)               | (639 755)          |
| გადახდილი დივიდენდები          |          |                       | -                       | -                  |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2018</b> |          | <b>1</b>              | <b>(4 828 958)</b>      | <b>(4 828 957)</b> |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

**რიმა ლომაური**

**ეთერ გურგენაშვილი**

**გენერალური დირექტორის -----**  
**მოვალეობის შემსრულებელი**

**მთავარი ბუღალტერი -----**

2019 წლის 30 სექტემბერი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

6-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თადლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

რიმა ლომაური

გენერალური დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

ეთერ გურგენაშვილი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი



სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ლარებში)

| დასახელება                            | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018  |
|---------------------------------------|----------|----------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                      |                    |
| გრძელვადიანი აქტივები:                |          |                      |                    |
| ძირითადი საშუალებები                  | 4        | 2 529 613            | 2 609 653          |
| არამატერიალური აქტივები               |          | 21 568               | 23 083             |
| მოთხოვნა გრძელვადიან სესხებზე         |          | 133 830              | 129 610            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>2 685 011</b>     | <b>2 762 346</b>   |
| მიმდინარე აქტივები:                   |          |                      |                    |
| მარაგები                              | 5        | 949 635              | 957 097            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            |          | 29 454               | 39 967             |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები          |          | 3 703                | 4 885              |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები       |          | 48 094               | 41 205             |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები      |          | 8 987                | 10 926             |
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 6        | 432 580              | 495 041            |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>1 472 453</b>     | <b>1 549 121</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>4 157 464</b>     | <b>4 311 467</b>   |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          |                      |                    |
| კაპიტალი:                             |          |                      |                    |
| საწესდებო კაპიტალი                    |          | 1                    | 1                  |
| გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)         |          | (4 828 958)          | (4 189 203)        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>(4 828 957)</b>   | <b>(4 189 202)</b> |
| გრძელვადიანი ვალდებულებები:           |          |                      |                    |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები    | 7        | 7 009 795            | 6 742 965          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>7 009 795</b>     | <b>6 742 965</b>   |
| მიმდინარე ვალდებულებები:              |          |                      |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         |          | 1 910 126            | 1 722 486          |
| მიღებული ავანსები                     |          | 6 144                | 3 638              |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები       |          | 60 356               | 31 580             |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>1 976 627</b>     | <b>1 757 704</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |          | <b>8 986 422</b>     | <b>8 500 670</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |          | <b>4 157 464</b>     | <b>4 311 467</b>   |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

რიმა ლომური

ეთერ გურგენაშვილი

გენერალური დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

6-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი მნიშვნელობები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



**სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების  
ანგარიშგება**  
**2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარებში)**

| დასახელება                                   | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2018 |
|----------------------------------------------|----------|-------------------|
| ამონაგები                                    | 8        | 6 662 763         |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება        |          | (5 296 243)       |
| <b>მთლიანი მოგება</b>                        |          | <b>1 366 520</b>  |
| ტრანსპორტირებისა და მიწოდების ხარჯები        |          | (11 176)          |
| სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი |          | (25 303)          |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები            | 9        | (1 438 208)       |
| ფინანსური შემოსავალი                         |          | 15 246            |
| ფინანსური ხარჯი                              |          | (360 938)         |
| მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან         |          | (202 114)         |
| სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა              |          | 16 218            |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                    |          | <b>(639 755)</b>  |
| მოგების გადასახდი                            |          | -                 |
| <b>პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი</b>         |          | <b>(639 755)</b>  |
| პერიოდის სხვა სრული შემოსავალი               |          | -                 |
| <b>სულ პერიოდის სრული შემოსავალი</b>         |          | <b>(639 755)</b>  |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

რიმა ლომაური

ეთერ გურგენაშვილი

გენერალური დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 30 სექტემბერი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი



6-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი მუხიმდებები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ლარებში)

| დასახელება                | შენიშვნა | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი |
|---------------------------|----------|-----------------------|-------------------------|--------------|
| ნაშთი 31 დეკემბერი 2017   |          | 1                     | (4 189 203)             | (4 189 202)  |
| სულ წლის სრული შემოსავალი |          |                       | (639 755)               | (639 755)    |
| გადახდილი დივიდენდები     |          |                       | -                       | -            |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2018   |          | 1                     | (4 828 958)             | (4 828 957)  |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

რიმა ლომაური

ეთერ გურგენაშვილი

გენერალური დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 30 სექტემბერი

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი



6-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსი“ დაფუძნებულია 2011 წლის 26 ოქტომბერს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404410188. კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია Bylete Holdings Limited, 1665863.

შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსი“-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნამღალაძევის რაიონი, გობრონიძის ქ. №18. კომპანია არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა. კომპანია ფლობს შენობას, რომელშიც განთავსებულია შერეული საცალო ვაჭრობის ობიექტი. ის პროდუქციას ყიდულობს საქართველოში არსებული სადისტრიბუციო და საბითუმო ვაჭრობის კომპანიებისაგან და ახორციელებს ამ პროდუქციის საცალო რეალიზაციას. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ვასილ სოფრომაძე (პ/ნ 01008012429) და გენერალური დირექტორი სოფიო კორმახია (პ/ნ 01008022693).

კომპანიაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 157 თანამშრომელი, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 162 თანამშრომელი. წლის განმავლობაში საშუალო მონაცემი შეადგენდა 156 თანამშრომელს.

## 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

### 2.1 წარდგენის საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, კომპანია მომავალი საანგარიშო პერიოდიდან სრულად გადავიდეს მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც

შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

| საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი |            |        |
|----------------------------------------------|------------|--------|
|                                              | აშშ დოლარი | ევრო   |
| 2018 წლის 31 დეკემბერი                       | 2.6766     | 3.0701 |
| 2018 წლის 1 იანვარი                          | 2.5922     | 3.1044 |

## 2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

| ჯგუფი                       | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-----------------------------|-------------------------------------|
| შენობები                    | 10-70                               |
| მანქანა-დანადგარები         | 5-15                                |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 2-10                                |
| სატრანსპორტო საშუალებები    | 10                                  |
| სხვა ძირითადი საშუალებები   | 2-20                                |

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად შერჩევის პრინციპის საფუძველზე.

## 2.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება;
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ;

## 2.5 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს FIFO (პირველი შევიდა, პირველი გავიდა) მეთოდი.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად (სრული ან შერჩევითი მეთოდით) და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა ან შემოსავლად აღიარება.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს სარელიზაციო პროდუქცია საცალო ვაჭრობისათვის და მათი ჩამოწერის დროს ჩამოწერის თანხა შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილს.

## 2.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება იურიდიულ პირებზე მიწოდებული საქონლის ღირებულებისაგან, იჯარის გადასახადებისგან და მომწოდებლისათვის გაწეული მომსახურების მისაღები თანხებისაგან. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

## 2.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაბრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

## 2.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. დივიდენდების გამოცხადებაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში. კომპანიას 2018 წლის განმავლობაში დივიდენდი არ გამოუცხადებია.

## 2.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად წარმოადგენს მომწოდებლებთან არსებულ მოკლევადიან ვალდებულებებს.

## 2.10 შემოსავალი

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

## 2.11 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობის ობიექტებიდან და სადისტრიბუციო კომპანიებიდან მიღებული პროდუქციის ღირებულებას. იგი რეალიზაციისთანავე ჩამოიწერება ხარჯებში როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

## 2.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

## 2.13 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

## 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი.** მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის

ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

**საექვო ვალების რეზერვი.** კომპანია, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

#### 4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

|                                      | მიწა           | შენობები         | მანქანა-<br>დანადგარები | ავეჯი და<br>ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა          | სულ              |
|--------------------------------------|----------------|------------------|-------------------------|-----------------------------------|-----------------------------|---------------|------------------|
| <b>ისტორიული<br/>ღირებულება</b>      |                |                  |                         |                                   |                             |               |                  |
| ნაშთი პერიოდის<br>დასაწყისში         | 663 998        | 1 691 955        | 243 355                 | 263 604                           | 11 250                      | 102 641       | 2 976 803        |
| <b>აკუმულირებული<br/>ცვეთა</b>       |                |                  |                         |                                   |                             |               |                  |
| ნაშთი პერიოდის<br>დასაწყისში         |                | (118 611)        | (97 875)                | (118 009)                         | (4 374)                     | (28 281)      | (367 150)        |
| <b>ნაშთი პერიოდის<br/>დასაწყისში</b> | <b>663 998</b> | <b>1 573 344</b> | <b>145 480</b>          | <b>145 595</b>                    | <b>6 876</b>                | <b>74 360</b> | <b>2 609 653</b> |
| შესყიდვები                           |                |                  |                         | 21 873                            |                             | 1 294         | 23 167           |
| ჩამოწერა/გაყიდვა                     |                |                  | (3 941)                 | (12 909)                          |                             | (2 093)       | (18 943)         |
| ცვეთის ხარჯი                         |                | (26 837)         | (19 541)                | (49 101)                          | (1 125)                     | (6 360)       | (102 964)        |
| გასული ძირ. საშ. ცვეთა               |                |                  | 3 941                   | 12 667                            |                             | 2 093         | 18 700           |
| <b>ნაშთი პერიოდის<br/>ბოლოს</b>      | <b>663 998</b> | <b>1 546 507</b> | <b>125 940</b>          | <b>118 123</b>                    | <b>5 751</b>                | <b>69 294</b> | <b>2 529 613</b> |

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები არ იყო დატვირთული კანონმდებლობით არსებული უზრუნველყოფის საშუალებებით.

## 5. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება             | 31.12.2018     | 01.01.2018     |
|------------------------|----------------|----------------|
| საქონელი               | 907 048        | 927 714        |
| სამშენებლო მასალები    | 15 779         | 898            |
| მცირეფასიანი ინვენტარი | 15 817         | 15 402         |
| სხვა მარაგები          | 10 991         | 13 083         |
| <b>სულ მარაგები:</b>   | <b>949 635</b> | <b>957 097</b> |

## 6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                                    | 31.12.2018     | 01.01.2018     |
|-----------------------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული ლარებში                            | 53 642         | 145 799        |
| ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე         | 57 387         | 74 584         |
| უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე | 321 551        | 274 659        |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები:</b>       | <b>432 580</b> | <b>495 041</b> |

## 7. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                                  | 31.12.2018       | 01.01.2018       |
|---------------------------------------------|------------------|------------------|
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები          | 2 655 133        | 2 207 333        |
| სესხზე დარიცხული პროცენტი                   | 4 354 662        | 4 535 632        |
| <b>სულ სესხები და დარიცხული პროცენტები:</b> | <b>7 009 795</b> | <b>6 742 965</b> |

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე შენიშვნაში მოცემული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება არის სესხი, რომელიც შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსს“ მიღებული აქვს დამფუძნებელი კომპანიისგან და ეს ვალდებულება არ წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებას; ამასთან სესხზე დარიცხული პროცენტები არ ექვემდებარება ყოველწლიურ დაფარვას და მისი გადახდაც მოხდება გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად შენიშვნაში მოცემული ვალდებულებების ნაშთები მოკლევადიან პერიოდში არ იმოქმედებს კომპანიის ფულის მოძრაობაზე, რაც ნიშნავს, რომ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხარჯი 360,938 ლარი არ წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ფულად ხარჯს.

ზემოაღნიშნული აგრეთვე გავლენას ახდენს სავალუტო რისკების მოცულობაზე და რადგანაც სავალუტო პოზიციების დარღვევა პრაქტიკულად სრულად გამოწვეულია ვალუტაში არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებებით, მის გარშე კომპანიას სავალუტო რისკი პრაქტიკულად არ გააჩნია.

## 8. ამონაგები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის ამონაგები შედგება:

| დასახელება                  | 31.12.2018       |
|-----------------------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან    | 6 374 284        |
| შემოსავალი მომსახურებიდან   | 273 904          |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები | 14 575           |
| <b>სულ ამონაგები:</b>       | <b>6 662 763</b> |

## 9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

| დასახელება                                    | 31.12.2018       |
|-----------------------------------------------|------------------|
| პერსონალის ხარჯები                            | 808 799          |
| იჯარის ხარჯი                                  | 68 823           |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები           | 171 359          |
| სამეურნეო ხარჯები                             | 31 785           |
| დაზღვევის ხარჯები                             | 4 693            |
| ოფისის ხარჯი                                  | 137 474          |
| საბანკო მომსახურების ხარჯი                    | 19 194           |
| ცვთა და ამორტიზაცია                           | 105 104          |
| საგადასახადო ხარჯები                          | 32 271           |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები        | 58 705           |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:</b> | <b>1 438 208</b> |

## 10. პირობითი ვალდებულებები

### საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალეზადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

## **გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

## **გარემოს დაცვა**

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

## **სასამართლო დავები**

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

## **11. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები**

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი. დაკავშირებულ მხარეებთან მნიშვნელოვან ოპერაციას წარმოადგენს დამფუძნებელი კომპანიიდან მიღებული სესხი, რომლის ნაშთებიც 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვარს შესაბამისად იყო 7,009,795 ლარი და 6,742,965 ლარი. ამავე პერიოდში მოცემულ სესხზე დარიცხული სესხის პროცენტი შეადგენდა 360,938 ლარს. გარდა ამისა 2018 წლის განმავლობაში უმაღლესი მენეჯმენტის მიერ მიღებული ანაზღაურება ჯამურად შეადგენდა 74,472 ლარს.

## **12. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.